

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ეს ანგარიში განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (ს/კ: 206046045; შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობების თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პრინციპების და პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს ფასს-დან წარმოდგენილია და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 01 აგვისტოს.

ვ. სყოხიძე

გენერალური დირექტორი



ვ. სყოხიძე

ფინანსური დირექტორი



შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ს/ნ 206046045
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ს/ნ 206046045
შემდგომში კომპანია დაფუძნებულია 1996 წლის 01 ივლისს საქართველოს კანონის მეწარმეთა შესახებ
კანონის საფუძველზე. კომპანიის სტატუსია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის
იურდიული და ფაქტიური მისამართია: ქ.თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის 31.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ს/ნ 206046045 ეკონომიკური საქმიანობის
მიმართულებაა: უმაღლესი განათლება.

კომპანიაში 2019 წელს დასაქმებული იყო 125 (ასაოცდახუთი) თანამშრომელი.

კომპანიის დამფუძნებელთა შორის წილები გადანაწილებული იყო შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019 წელი	31 დეკემბერი 2018 წელი
ვალენტინა საყვარელიძე კ/ნ 01044008374	66%	66%
ვალერი მუხიგულაშვილი კ/ნ 12001011352	34%	34%
სულ	100%	100%

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხო პოლიტიკა:

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის
საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. ასევე კომპანიის ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ
კომპანიის ფინანსური ანგარიშგება პასუხობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის
შესახებ“ კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესში საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ შეფასებულია
საწარმოს უნარი საქმიანობის გაგრძელების შესახებ და იგი მიჩნეულია ფუნქციონერებად საწარმოდ ანუ
კომპანია საქმიანობას გააგრძელებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რომელიც მოიცავს
რამოდენიმე წელს. კომპანიის ხელმძღვანელობა არ აპირებს საწარმოს ლიკვიდაციას ან საქმიანობის
შეწყვეტას.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესში საწარმოს ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ საწარმოს
აქვს უნარი, თავისი ვალდებულებები დაფაროს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ხელმძღვანელობამ
ასევე გაითვალისწინა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი მოვლენები.

კომპანიის ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გაითვალისწინა
შემოსავლებისა და ხარჯების, გაუნაწილებელი მოგებისა და ფულადი ნაკადების ყველა არსებითი
მუხლი, არაარსებითი მუხლები აგრეგირებულად.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ს/ნ 206046045

საადრიცხო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგების შედგენის პერიოდში იხელმძღვანელა ძირითადი პრინციპების, საფუძვლების, დაშვებებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობით.

კომპანიამ 2019 წლის ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადობის პრინციპით. აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის აღიარება ხდებოდა ოპერაციების ან სხვა მოვლენების მოხდენისას ე.ი. დარიცხვის მეთოდით. კომპანიის მიერ მოგება და წინა პერიოდის განმავლობაში წარმოქმნილი ვალდებულება აღიარებულია წინდახედულობის პრინციპით. კომპანიას ანგარიშგების მომზადებისას არანაირი არსებითი ინფორმაცია არ აქვს გამოტოვებული, რომელსაც შეეძლო არსებითი ცვლილებების მოხდენა ანგარიშგების მონაცემებზე. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პერიოდში, კომპანიის მხრიდან შეძენილი აქტივები გამოყენებულია შემდგომში ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. კომპანიაში წარმოშობილი ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის რესურსების გასვლას საწარმოდან.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საკუთარი კაპიტალი შედგება აქტივების იმ ნაწილისგან, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდში შემოსავალი აღირიცხებოდა და აღიარებოდა აქტივების შემოძინებით, ან ვალდებულების შემცირების გზით. ხოლო ხარჯები აღირიცხებოდა და აღიარებოდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან ვალდებულების ზრდის საფუძველზე.

კომპანია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოძინება/გადინების ალბათობის შეფასებისას ეყრდნობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ იმ პირობებს და მტკიცებულებებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ფინანსური ანგარიშგების შედგენისას. საწარმოსთვის საანგარიშო პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების თვითღირებულება ცნობილია და შეფასებულია საიმედოდ.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ს/ნ 206046045

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი

შენიშვნები, ქართულ ლარში.

წინამდებარე ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებსა და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები სრული შემოსავლების კომპონენტის გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილია ან დაშვებულია მსს ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით, რომელიც აღიარებული იყო მიმდინარე ან წინა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში. კომპანიის მფლობელებთან ისეთი ტრანზაქციები, რომელიც გამოიწვევდა კაპიტალის ცვლილებებს ანგარიშგებაში არ განხორციელებულა საანგარიშო პერიოდში.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. ჩვენი შეხედულებით ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისათვის უზრუნველყოფს სასარგებლო ინფორმაციას.

ფორმა N1 - ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	111,430	171,838	53,350
სავაჭრო მოთხოვნები	329,087	244,890	279,162
გადახდილი ავანსები და დარიცხული მასალები შემოსავალი	32,538		
მარაგები	49,257	44,033	39,495
- მზა პროდუქცია	24,000	24,000	24,000
- სხვა	1,283,158	1,068,999	792,183
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები			
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	1,829,470	1,553,760	1,188,190
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	6,200	5,000	4,500
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	32,500		

სავადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი მემოსავალი			
მიმდინარე სასესიო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესიო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	8,500	10,355	10,140
სულ ვალდებულებები	47,200	15,355	14,640

საკუთარი კაპიტალი			
სააქრო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	122,000	122,000	122,000
საემისიო მემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მიგება / ზარალი	511,470	467,669	337,630
გადაფასების რეზერვი	240,000		
სხვა რეზერვები	908,800	948,736	713,920
სულ საკუთარი კაპიტალი	1,782,270	1,538,405	1,173,550
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,829,470	1,553,760	1,188,190

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები		
საქონლის გაყიდვიდან	1,980,955	1,595,500
მიმსახურების გაწევიდან	1,980,955	1,595,500
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
საწესი მარაგები		
მარაგების შესყიდვა		

გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	1,980,955	1,595,500

სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	1,433,400	1,083,670
ცვლია და ამორტიზაცია	130,973	85,540
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :		
ოჯარის ხარჯი		
აღმნიშვნელოვანი და სხვა საოპერაციო ხარჯი	195,140	163,085
სულ საოპერაციო ხარჯები	1,759,513	1,332,295

საოპერაციო მოგება	221,442	263,205
-------------------	---------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) საგადასახადო ოპერაციებიდან:		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ხარჯი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	221,442	263,205
მოგების გადასახადი	33,216,30	39,480,75
მოგება/(ხარჯი)	188,226	223,724

სხვა სრული შემოსავალი / (ხარჯი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ხარჯი), სულ:		
მიღიანი სრული შემოსავალი/ (ხარჯი)	1,980,955	1,525,700

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,538,405	1,173,550
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	136,843	936,685
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	380,708	1,301,540
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,782,270	1,538,405

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საიპერავდო საქმიანობიდან	1,853,572	1,570,420
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულასა და ფულის ეკვივალენტებში	1,853,572	1,570,420
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	171,838	53,350
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	111,430	171,838

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

ს/ნ 206046045

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგება

ქართულ ვალუტაში (ლარში)

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

2019 წლის დასრულებული წლისათვის

ქართულ ვალუტაში (ლარში)

შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	1980955	1595500
თვითღირებულება	0	0
საერთო მოგება	1980955	1595500
სხვა შემოსავლები	0	0
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	195140	163085
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	0	0
სხვა ხარჯები	1564373	1169210
საოპერაციო მოგება	221442	263205
ფინანსური შემოსავალი	0	0
ფინანსური ხარჯი	0	0
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება	0	0
მოგება დაზღვევამდე	221442	263205
მოგების გადასახადი	33216.3	39480.75
წმინდა მოგება	188225.7	223724.25
სხვა სრული შემოსავალი;	0	0
გადაფასების რეზერვი		0
მთლიანი სრული შემოსავალი	1980955	1595500

კ. საყბურაძე

გენერალური დირექტორი



კ. საყბურაძე

ფინანსური დირექტორი



შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ს/ნ 206046045

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგება
ქართულ ვალუტაში (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2018	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები		0	0
ძირითადი საშუალებები		1283158	1068999
არამატერიალური აქტივები		24000	24000
საინვესტიციო ქონება		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		1307158	1092999
მოკლევადიანი აქტივები		0	0
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		111430	171838
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		329087	244890
მარაგები		0	0
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		0	0
სხვა მიმდინარე აქტივები		49257	44033
სულ მოკლევადიანი აქტივები		489774	460761
სულ აქტივები		1829470	1553760
საწესდებო კაპიტალი		122000	122000
გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)		1420270	235200
გადაფასების რეზერვი		240000	0
სულ კაპიტალი		1782270	1538405
ვალდებულებები		6200	5000
გრძელვადიანი სესხები		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6200	5000
მოკლევადიანი ვალდებულებები		41000	10355
მოკლევადიანი სესხები		0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		0	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		41000	10355
სულ ვალდებულებები		47200	15355
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1829470	1553760

ვ. ლომიძე

გენერალური დირექტორი

ვ. ლომიძე

ფინანსური დირექტორი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

ს/ნ 206046045

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგება
ქართულ ვალუტაში (ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	122000	0	337630	459630
წმინდა მოგება	223724	0	0	0
სხვა სრული შემოსავალი	0	0	0	0
პერიოდის სრული შემოსავალი	1595500	0	0	0
გაცემული დივიდენდები	93685	0	0	0
საწესდებო კაპიტალის ზრდა	0	0	0	0
2018 წლის 31 დეკემბერი	122000	0	467644	589644
წმინდა მოგება	188226	0	0	0
სხვა სრული შემოსავალი	0	0	0	0
პერიოდის სრული შემოსავალი	1890955	0	0	0
გაცემული დივიდენდები	136843	0	0	0
საწესდებო კაპიტალის ზრდა	0	0	0	0
2019 წლის 31 დეკემბერი	122000	0	511470	633470

ვ. ნაჭიჩიძე

გენერალური დირექტორი

ვ. ნაჭიჩიძე

ფინანსური დირექტორი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

ს/ნ 206046045

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგება

ქართულ ვალუტაში (ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1853572	1589915
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		1853572	1589915
სხვა შემოსულობები საოპერაციო საქმიანობიდან		0	0
ზარალის დასაფარად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები		0	0
მიმწოდებელზე გაცემული ფულადი სახსრები		201255	197565
გაცემული შრომის ანაზღაურება		1129150	870558
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება		5500	7000
თანამშრომლებზე გაცემული სხვა ხარჯების ანაზღაურება და ავანსები		0	0
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)		319126	241380
გადახდილი მოგების გადასახადი		0	0
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა განაცემები		159141	52860
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი		39400	220552
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		0	0
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		99808	102064
ძ/საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გასვლიდან შემოსულობანი		0	0
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა		0	0
გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი		0	0
სესხების გაცემა		0	0
სესხების დაბრუნება		0	0
მიღებული პროცენტები		0	0

მიღებული დივიდენდები	0	0
მიღებული შემოსავალი ერთობლივი საქმიანობიდან	1853572	1589915
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი	0	0
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან	0	0
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან/კაპიტალის ზრდისგან	0	0
საკუთარი აქციების გამოსყიდვა/გაცემები კაპიტალის შემცირების გამო	0	0
მოკლევადიანი სესხის აღება	0	0
მოკლევადიანი სესხის დაფარვა	0	0
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების აღება	0	0
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების დაფარვა	0	0
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვა	0	0
საფინანსო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი	0	0
გაცვლითიკურსის ეფექტისგან	0	0
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა სხვაობა	0	0
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	171838	53350
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	111430	171838

ვ. ნაყიჩაი

გენერალური დირექტორი

ვ. ნაყიჩაი

ფინანსური დირექტორი

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ქართული ლარი („ლარი“) - საქართველოს ეროვნული ვალუტა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

საადრიცხო პოლიტიკა, რომელიც შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში თანმიმდევრულად გამოიყენა ფინანსურ ანგარიშებში გავრცობილია ყველა პერიოდთან მიმართებაში.

შემოსავლები

საოპერაციო შემოსავლები

შემოსვალს, რომელსაც აღიარებს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი შეფასებულია საიმედოდ, მომავალში შეუძლია ეკონომიკური სარგებლის მოტანა. კომპანიის ძირითადი შემოსავალი მოიცავს შემოსავალს უმაღლესი განათლების მომსახურებიდან, რომელთა თანხები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით.

შემოსავლების ანგარიშსწორება ხდება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემოსავლები აღიარებულია იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა.

არასაოპერაციო შემოსავლები

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ანხორციელებს სხვა არასაოპერაციო საქმიანობას, რომელიც არ არის კანონით აკრძალული.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები, ქართულ ლარში.

შემოსავლებთან დაკავშირებული გაწეული ხარჯები

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გაწეული დანახარჯები არის ხარჯი, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მომსახურების მიწოდებასთან. აღნიშნული ხარჯები მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ სახელფასო ანაზღაურებას, კომუნალურების, რემონტის და სხვა ტიპის პირდაპირ ხარჯებს.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი საანგარიშო პერიოდში ძირითადი საშუალებების აღრიცხვა-აღიარებას ახორციელებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს აქტივის შეძენის, ადგილამდე ტრანსპორტირების, დამონტაჟების და სხვა მასთან დაკავშირებულ ხარჯებს. იმ შემთხვევაში თუ ძირითადი საშუალებების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს რომელთა გამოყენების ვადა ექსპლუატაციის პერიოდისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტი.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ს/ნ 206046045

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები, ქართულ ლარში.

ცვეთა

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი შესყიდვის, დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. კომპანიას საანგარიშო პერიოდში საკუთარი ძალებით აშენებული აქტივები არ ჰქონია.

კომპანიის მიერ ცვეთა აისახება მოგების ანგარიშის დებეტში, შემცირებადი ნაშთის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთის დარიცხვა წარმოებს შემცირებადი ნაშთის მეთოდით, შესაბამისი წლიური განაკვეთით.

- = შენობა-ნაგებობები 5%
- = სპეციალური ინსტრუმენტები, კომპიუტერები და სხვა მოწყობილობები 20%
- = საოფისე ავეჯი და მოწყობილობები 20%
- = სატრანსპორტო საშუალებები 20 %

აღიარების შეწყვეტა

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ძირითადი საშუალებების ან მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ამ ძირითადი საშუალებებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი შემოსავალი ან ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა და ზარალში.

არამატერიალური აქტივები

აღიარება და შეფასება

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივი ბუღალტრული პროგრამა „ორისი“ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული იყო თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს. რაც შეეხება სხვა არამატერიალურ აქტივებს საანგარიშო პერიოდში კომპანიამ გადაიხადა სასწავლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული თანხები, რაც ასახულია საბუღალტრო აღრიცხვაში, არამატერიალური აქტივების ჯგუფში.

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივი არ არის კაპიტალიზირებული და მასთან დაკავშირებული დანახარჯები საბოლოო ჯამში აისახება ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როცა გაწეული იქნა ეს დანახარჯები.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განუსაზღვრელი ვადით შეძენილი არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია წარმოებს იმ გვარად, რომელმაც მოახდინა აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ამორტიზაცია

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციას ასახავს მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის გამოყენებით.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა სავარაუდოდ 7 (შვიდი) წელია.

აღიარება შეწყვეტა

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლოდ ეკონომიკური სარგებლის მიღება. იმ შემთხვევაში თუ მოხდა კომპანიის საკუთრებაში არსებული პროგრამა „ორისის“ გასხვისება, სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და ამ აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის ღირებულება.

კაპიტალი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც კომპანიის საწესდებო კაპიტალი ფულადი ან არაფულადი შენატანით იზრდება, მაშინ ეს შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი. საანგარიშო პერიოდში კომპანიას მსგავსი შენატანი არ აქვს.

ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილებების უმნიშვნელო რისკს.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ს/ნ 206046045
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები, ქართულ ლარში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში უკვე დაფარული იყო სასესხო ვალდებულებები, შესაბამისად სესხთან დაკავშირებული ხარჯები არ გააჩნია საანგარიშო პერიოდში.

მოგების გადასახადი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე გადასახდელებს, მიმდინარე გადასახადები აღიარდება მოგება ან ზარალში გარდა გადასახადების იმ ნაწილისა, რომელიც მიეკუთვნება ისეთ მუხლებს, რომელიც აღიარდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წლის 13 მაისს მიღებული კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული კანონის საფუძველზე მოგების დაბეგვრის მომენტის გადატანა ხდება მოგების მიღების მომენტიდან, მოგების დამფუძნებლებზე გაცემის თარიღამდე. ანუ მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება.

განაწილებული მოგება ზემოხსენებული კანონის თანახმად ნიშნავს აგრეთვე ხარჯებს, ან სხვა გადასახადებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, საქონლის ან მომსახურების უფასო მიწოდებას ან დაწესებულ ზღვარს ზევით გადაცილებულ წარმომადგენლობით ხარჯებს.

დივიდენდი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დარიცხული და გაცემული დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება პარტნიორთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

ფინანსური ინსტუმენტები-შეფასების ძირითადი საფუძვლები

მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ფინანსური ინსტუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით. სამართლიან ღირებულებას საფუძვლად უდევს აქტივის გაყიდვა ან გაყიდვის მომენტში ვალდებულების დაფარვა საიმედოდ, კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას. სამართლიანი ღირებულების მტკიცებულება არის აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი, ხოლო აქტიური ბაზარი კი არის ბაზარი, სადაც აქტივსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხდება რათა საიმედოდ უზრუნველყოს ფასების შესახებ მუდმივი ინფორმაცია.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ფიქსირებული ისტორიული ღირებულება არის გადახდილი ფულის ან ფულადი ექვივალენტების თანხა ან შეძენის დროს აქტივის შესაძენად გაცემული სხვა ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება და მოიცავს ტრანზაქციის ხარჯებს. თვითღირებულებით გაანგარიშება გამოიყენება მხოლოდ იმ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების მიმართ, რომელთაც არ აქვთ კვოტირებული საბაზრო ფასი და რომელთა სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ გაანგარიშება შეუძლებელია.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ტრანზაქციის ღირებულება შედგება დამატებითი ხარჯებისაგან რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო და მოიცავს აგენტებისათვის, კონსულტანტებისათვის, ბროკერებისათვის და დილერებისათვის გადახდილ თანხებს და საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გასხვების გადასახადებს.

ტრანზაქციის ღირებულება არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდაკლებებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდაადმინისტრაციულ ხარჯებს.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ამორტიზირებული ღირებულება შედგება თანხისგან, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას და აკლდება ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები და ემატება დარიცხული პროცენტის თანხები.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშში. კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური აქტივების გაუფასურება შემდეგია: შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის გამოწვეული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული დაყოვნების გამო, მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სიძნელეებს, რაც დასტურდება მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან, მსესხებელი განიხილავს თავისი საწარმოს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას, არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე ან უზრუნველყოფის ღირებულება მცირდება მნიშვნელოვნად ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

გაუფასურების ერთობლივი შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებად. ეს მახასიათებლები მოიცავენ აქტივთა ჯგუფების მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების შეფასებას, რომელიც აჩვენებს მსესხებლის უნარს ყველა ვადადამდგარი თანხის დაფარვა განახორციელონ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

მომავალი ფულადი ნაკადები იმ ფინანსურ აქტივებში, რომელთა გაუფასურებაზე შეფასებაც ერთობლივად ხორციელდება, იანგარიშება ამ აქტივების სახელშეკრულებო პირობების შედეგად მისაღები ფულადი სახსრების და ხელმძღვანელობის წარსული გამოცდილების საფუძველზე გაკეთებული შეფასებით, ზარალის შემთხვევის შედეგად თუ რა ოდენობა სესხებისა მოხვდება ვადაგადაცილებაში და რამდენად წარმატებულად მოხდება ვადაგადაცილებული ოდენობის დაფარვა.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებული ფულადი ნაკადების, რომელსაც აკლდება უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები, მიუხედავად იმისა, დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი უქმდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, რომელიც ასახავს ჰპოვებს მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალში. ამოუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ანარიცხის ხარჯზე და ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულებისა და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ა) აქტივები გადახდილია ან, უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან ბ) საწარმომ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად განახორციელა აქტივების საკუთრების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის გადაცემა ან საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისათვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

6/6 206046045

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, ქართულ ვალუტაში (ლარში)

შენიშვნები-4

ძირითადი საშუალებები

	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარი თ აღებუ ლი ქონებ ა	სატრანსპ ორტო საშუალებ ა	კომპიუტერული ტექნიკა	მიწა	ჯამი
ლარში								
2018 წლის ბოლოს								
მდგომარეობით	804351	45327	53703	0	90925	45738	137700	1177744
შესყიდვა	240000	61500	38800	0	8300	20532	0	369132
გასვლა	0	0	0	0	0	0	0	0
გაუფასურება	0	0	0	0	0	0	0	0
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია								
გადაფასების რეზერვი								
2019 წლის ბოლოს								
მდგომარეობით	1044351	106827	92503	0	99225	66270	137700	1546876
დაგროვილი ცვეთა								
2018 წლის ბოლოს								
მდგომარეობით	41323	13050	15224	0	27186	11962	0	108745
ცვეთის ხარჯი	62000	9600	28200	0	17200	13974	0	130974
გასული აქტივის დაგროვილი								
ცვეთა								
2019 წლის ბოლოს								
მდგომარეობით	103323	22650	43424	0	44386	25936	0	239719
საბალანსო ღირებულება								
2018 წლის ბოლოს	763028	32277	38479	0	63739	33776	137700	1068999
2019 წლის ბოლოს	918158	67700	71200	0	56900	31500	137700	1283158

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, ქართულ ვალუტაში (ლარში)

შენიშვნები-5

არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2018 წლის ბოლოს	24000	0	0	24000
შემოსავალი	9300	0	0	9300
გასვლა	0	0	0	0
2019 წლის ბოლოს	33300	0	0	33300

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია	7500			7500
2018 წლის ბოლოს	14800	0	0	14800
პერიოდის ამორტიზაცია	5000	0	0	5000
გასული დაგროვილი ამორტიზაცია	0	0	0	0
2019 წლის ბოლოს	19800	0	0	19800

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
საბალანსო ღირებულება				
2018 წლის ბოლოს	24000	0	0	24000
2019 წლის ბოლოს	24000	0	0	24000

შენიშვნები-6

ფული და ფულთან

გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31-12-19	31-12-18
ფული სალაროში	2564	14760
ფული საბანკო ანგარიშებზე	108866	157078
	111430	171838

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ს/ნ 206046045

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი

შენიშვნები, ქართულ ვალუტაში (ლარში)

შენიშვნები-7

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-12-19	31-12-18
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	329087	244890
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვები	0	0
სხვა მოთხოვნები	0	0
	329087	244890

შენიშვნები-9

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი

ვალდებულებები

ლარი	31-12-19	31-12-18
სავაჭრო ვალდებულებები	6200	5000
გადასახდელი ხელფასები	32500	0
გადასახდელი პროცენტები	0	0
გადასახდელი დივიდენდები	0	0
სხვა ვალდებულებები	8500	10355
	47200	15355

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

ს/ნ 206046045

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი

შენიშვნები, ქართულ ვალუტაში (ლარში)

შენიშვნა-14

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულების კომპონენტები

	31-12-19	31-12-18
პირდაპირი მასალები	0	0
შრომითი ანაზღაურება	1433400	1083670
კომუნალურები	28900	26830
იჯარა	0	0
ცვეთა	130973	85540
დამხმარე მასალები	0	0
რემონტები	22295	12500
სხვა	143945	123755
	1759513	1332295

ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 01 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისათვის.

ახალი სტანდარტები ძველ სტანდარტებში ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. საწარმომ შეაფასა შეძლებისამებრ ყველა ახალი სტანდარტებისა და ცვლილებების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისათვის.

ბასს 28-ში შესული ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 01 იანვრიდან ვერ მოახდენს გავლენას შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი 2019 წლის ანგარიშგებაში, რადგანაც მეკავშირე საწარმო და მის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ჩვენს კომპანიას არ აქვს.

ბასს 40-ში შესული ცვლილებები, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლიდან ვერ იმოქმედებს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ანგარიშგებაზე, რამეთუ საინვესტიციო ქონება ჩვენს კომპანიას არ აქვს. ასევე ვერ იმოქმედებს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ანგარიშგებაში ფასს 10 და ბასს 28-ში განხორციელებები. ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტი“ ჩაანაცვლებს ბასს 39-ს 2018 წლის 01 იანვარს დაწყებული და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისათვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვის და აღიარების შეწყვეტისათვის. ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავლებში იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი და როგორია მათი სახელშეკრულებლო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური ვალდებულებებისთვის, ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი ღირებულების მეთოდი.

სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა აღნიშნული ვალდებულებების საკრედიტო რისკის ცვლილებას აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში) გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული იწვევს სააღრიცხვო შეუსაბამობას.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისათვის ფასს 9 უზრუნველყოფს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე, საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.

ჰეჯირების აღრიცხვისათვის ფასს 9 შეიცავს არსებით შესწორებებს, რომელთა თანახმად ფინანსურ, ანგარიშგებაში უკეთ აისახება რისკის მართვის საქმიანობები, როდესაც ხდება ფინანსური და არაფინანსური რისკის ჰეჯირება.

აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-დან. ხელმძღვანელობის მოლოდინით ფასს 9 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. ამ ეტაპზე კომპანია არის შეფასების პროცესში თუ რა გავლენას მოახდენს ფასს 9-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, თუმცა ფასს 16 იჯარა ახალი სტანდარტი ამოქმედდა 2019 წლის 01 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს 17-ს და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ ღირებულებიანი იჯარისა) ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას, თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტეს წილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია მას შემდეგ, რაც ის გახდება სავალდებულო, თუმცა არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს და ძალაში შედის 2021 წლის 01 იანვრიდან რომლის თანახმადაც სადაზღვევო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადგენ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვევო გარიგებისათვის ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეული იქნას სადაზღვევო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვევო ხელშეკრულებებს. საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრედიტული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი-ს მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის მეორე, რომელიც მან მსს ფასს-ების სრული დაცვით მოამზადა. საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი.

2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის შედეგად მატერიალური კორექტირებები არ განხორციელებულა.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის განმავლობაში ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე კომპანიას არ განუხორციელებია ისეთი ოპერაციები რაც გავლენას მოახდენდა 2019 წლის წლიურ ანგარიშგებაზე.

